№ 148. 13 ივლისი, კვირა. 1866—1880 13 ივლისი, კვირა. № 148.

რედაქცია
ერევნის მოედანზე, მუხაბატონის თავში მარცხნივ თ. ლორის მ... რდუთინსკის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა
იღება „დროებას“ და „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“ и „Иверія“

„დროება“—„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა 2 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კოპ., ჩვეულებრივის ასოებით სტრიქონით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ
**დროება**
ღირს ხუთი მანეთი
**ივერია**
ოთხი მანეთი
„დროება“ და „ივერია“ ერთად
შვიდი მანეთი

## ტელეგრამმები

—

(სამხრეთ რუსეთის სააგენტოსი)

**პეტერბურღი**, 10 ივლისს. გამოვიდა ბრძანება, რომ ბათუმში და ყარსში დაწესდეს სამ კლასიანი საქალაქო სასწავლებელი, თემირ-ხან-შურს პროგიმნაზია კი რეალურ სასწავლებლად გადაკეთდეს.

**სიმლა**, 10 ივლისს. ავდურახმანი და ინგლისის წარმომადგენლები ინგლისის ბანაკში ინახულებენ ერთმანეთს ქაბულიდამ 14 მილის მანძილზე. ეიუბ-ხანის ჯარი მდ. გელმუნზედ მოვიდა; ბევრი გაქცეულები მიემხრნენ ამ ჯარს. ბერრაუმ სამი მილის მანძილზე მიუახლოვა თავისი ბრიგადა გირშიკს.

**სტამბოლი**, 10 ივლისს. ჩერნოგორიის მთავარმა უარი განაცხადა ოსმალეთის წინადადებაზედ, რომ ალბანიელების თავ-დასხმის შესახებ კომმისია დაინიშნოს, რომელმანაც ეს საქმე გამოიძიოს ამასთანავე ჩერნოგორიის მთავარმა მიწერილობა გაუგზავნა სტამბოლში მყოფს თავის ელჩს, რომ დაბრუნდეს ამ ქალაქიდამ.

**სტამბოლი**, 10 ივლისს. ოსმალეთის მინისტრების რჩევამ გარდაწყვიტა დღეს—თუ რა პასუხი უნდა მისცეს ოსმალეთმა ევროპის სახელმწიფოთა ერთობრივ ნოტის შესახებ. პორტა ამბობს თავის პასუხში, ევროპამ აღიაროსო, რომ ლარისსა, იანინა და მეცოვო ოსმალეთის მფლობელობაში დარჩებაო და ამ აზრით შეიძლება ხელ-ახლად მოლაპარაკების დაწყებაო.

რუსის ელჩმა ნოვიკოვმა მოითხოვა კამერაუს მკვლელის ველი-მეჯმედის სიკვდილით დასჯა.

**პეტერბურღი**, 11 ივლისს. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია: გრაფი იგნატიევი იარმუკის დროს ნიჟეგოროდის დენერალ-დუბერნატორად დაინიშნება.

**ბირიუქ-დერე**, 9 ივლისს. გაზ. „ნოვოე ვრემიაში“ სწერენ: სკობელევის დედის მკვლელი არის პარუჩიკი უზატისი, ოთხი მაკედონელი ამხანაგი ჭყოლია. სკობელევის დედა თვითონ უზატირმა მოჰკლა, იმის ამხანაგებმა კი სხვები დახოცეს. ერთმა მხლებელთაგანმა უნტერ-აფიცერმა ივანოვმა, რომელიც ორს ალაგას არის მხარში დაჭრილი, მოასწრო გაქცევა და ეს ამბავი მიიტანა ფილიპოპოლში. იმავე წამს რამდენიმე აფიცერი 30 ცხენოსანით გამოეკიდნენ ავაზაკებს დარმენდერესთან დაეწივნენ იმათ. უზატისმა, როცა დაინახა, რომ გაქცევის საშვალება არა ჰქონდა, თავი მოიკლა რევოლვერით. ჩერნოგორიელებმა დაატუსაღეს რამდენიმე მეგობარი უზატისისა. უზატისას ძმა აგრეთვე დენ. სკობელევის ატრიადში მსახურებდა გავლილ ომის დროს, მაგრამ ერთის სამაგელის საქმის გამო აფიცრის ჩინი ვერ მიიღო. დატუსაღებულები გამომძიებლის ხელში არიან. სკობელევის დედის გვამი ბალზამით იქნება გაკეთებული და პეტერბურღში გაგზავნილი.

**პეტერბურღი**, 10 ივლისს. უზატისი საპიორის აფიცერი იყო; სკოლის ამხანაგია იმ აფიცრის ლანდსბერგისა, რომელმანაც შარშან ორი სული მოკლა კოვენის ქუჩაში. უზატისი 28 წლისაა. უკანასკნელ ომის დროს ის ჯერ თავის ნებით (ვოლონტერად) მსახურებდა ჩერნოგორიაში და მერე ჩაერიცხა დენ. სკობელევის ატრიადში პლევნასთან. ის მუდამ სკობელევთან იმყოფებოდა და იმის თვალ-წინ რამდენიმე გმირული საქმე ჩაიდინა, რომლისათვისაც ჯილდოებიც მიიღო: ოქროს ხმალი ზედ-წარწერით „მხნეობისათვის“ და გიორგის ჯვარი მე-4 ხარისხისა. დენ, სკობელევს უზატისი ძალიან უყვარდა. რუსის ჯარის დაბრუნების დროს, უზატისი არ დაბრუნდა, რუმელიის მილიციაში დარჩა.

---

## ახალი სამეურნეო შკოლა

ტფილისი, 12 ივლისს.

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ მოხსენებული, რომ კომისიას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა, ლოჭინის მაგიერ, ახალი სამეურნეო სკოლისათვის ადგილის ამორჩევა, გორის მაზრაში, ცხინვალის მახლობლად ამოურჩევია ადგილიო, სადაც ბლომად სახელმწიფო მიწაც არისო და, რომელიც, კომისიის აზრით, სხვა ყველა მხრითაც მოხერხებული და კარგი ადგილია სამეურნეო სკოლის გასამართავად.

ამ საგნის შესახებ ჩვენ გვაქვს სათქმელი შემდეგი სიტყვა:

---

## ფელტონი

—

### დუდუკი

აი სიცხეები! სული კი ველარ მოგვიბრუნებია-და. ანაზდეულად ვიწვით სულითა და ხორცით! არა მგონია, საკირესა შინა ბაბილონისასა ამაზედ უმეტესი სიცხე ყოფილიყოს!.. ამოვიდა მზე, დაგვაჭყიტა თავის დამწველი თვალები და ყველას ჩრდილი მოაძებნინა!..

მოდი ეხლა შენ და საქმე გააკეთე! ან რა საქმის გაკეთება შეიძლება ამ გახურებულ თონეში, ტფილისში?.. ქუჩაში ნახავთ მიმავალს კაცს, საცოდავათ დაუღრენია პირი: ხვითქი გადასდის, საძაგლათ დაღრეჯილა, უმადოთ მიაჩლატუნებს თეთრი ვაქსით გაწმენდილს ჩექმებს და უკან მთელი ბუქი და კორიანტელი მტვერისა მისდევს... ისე საცოდავი სანახავია ამ მდგომარეობაში კაცი, ისე ზლაზნით, ზარმაცად და მოწყვეტილი დაიარება, რომ სწორეთ გაროზგილი გეგონებათ!..

ერთი-ღა დაგვრჩენია ჩემისთანა სტატსკი სოვეტნიკებს: ჩავიდეთ სარდაფში, ავანთოთ შუშის ფარანი... დავცალოთ სავსე ტიკები... მოვისვათ გვერდზედ დუდუკი, ვაკვნესოთ და ვიკვნესოთ!.. ეს გრილი ადგილი, ეს მშვენიერი წითელი ღვინო ყინულში გაციებული. ეს ორთაჭალიდგან კოხტა ვირის მოტანილი ქორფა კიტრები, ჯვარი-მამის თეთრი ლევაშები, კარგი მწვანილი, ყველი და დოში! მეტი რაღა გინდა? მოუჯექ გვერდით და გააფრინე ჰოპოპები!..

აი საღამოც მოატანა, დროა დუდუკს ჩავბეროთ და ღიღინით გავსწიოთ „ნოვი სვეტისკენ...“ აბა, დუდუკს, ერთი ასწიე, შენ რომ იცი, ყარაჩულული; მე დავძახებ:

ამ სიცხეში ერთობ დღე და ღამ
ვიწვი,
ერთხელაცა არ ვიფიქრებ, არ ვიტყვი,
რომ ოდესმე მქონდა საგრილებელი,
ხელთ მეკავა ფიალი ღვინით სველი!

—

გული ჰსძგერდა — ქართველურად
ვილხენდი,
სიციევს და სითბოს ერთბარ ვითმენდი;
სავსე ოჯახს ვფლობდი შეუპოვარი,
არავისთან არ მქონდა სათხოვარი!..

—

წარსულ დროდვან ეხლა რა დამ-
შთენია?!
არაფერი! მხოლოდ შავი დღენია!..
ახლა კი ვგრძნობ ცხადად, რომ მო-
ვუძლურდი!
სენთ მიმუხთლეს და უცბად გამოვ-
ყრუვდი!

—

მით უმეტეს გული მწარედ ღონდება
რა ჩრდილს ვხედავ და ის დრო მა-
გონდება,
როს ვხაროდი, არ ვიცოდი მე ჭირი.
რა მოვხუცდი, ეხლა დღე და ღამ
ვსტირი.

—

ვის არ გახსოვსთ ჩემი ნეტარი მხარე,
სად მნათობდნენ ცით ვარსკვლავი
მზე, მთვარე;
სად უძლეველთ სძლევდა ნაკურთხი
ერი,
საც არ იყო საწყალი და მშიერი?..

—

სად ბუნება მდიდრად აღმოაცენდა
ნაყოფს კეთილს, უხვს და მით გულს
ალხენდა!
სად სიგრილით მუდამ ვსიამოვნობდი,
სიცხეს ვსძლევდი და არას დროს
ვმონებდი!

—

ეს მდელონი შემოსილნი მწვანითა
გულს მილხენდნენ ნეტარის სიამითა
თვალ-წინ გაქვს, ხედავ, ტურფა
კორდები,
სადაც მოგწონს, მიხვალ, იქ გაგორ-
დები!

—

სუფრას გაშლის ღელეს, ნაკადის
ნაპირს
გაუმართავ ძმათ მეჯლიშსა დანაპირს;
მოუსხდებით გარეშემო ქართულად,
შემოსძახებთ სიმღერას ყველა რთუ-
ლად!

—

ხელთ გიპყრია ფიალი ღვინით, ჯიხვი
სუფრას გიმკობს მწვადი, ქათამი, იხვი!
მაგას დასცლი, აიღე ხელში კულა,
მანდვე გორავს, არსად არ დამალულა.

—

რაღას ყოყმობ? დასცალე, ნუ ხარ ავი
გაგავრილებს, ნუ გეშინის, ნიავი!..
დალლაზეა! ჩქარა, თორემ დავბერდი;
შესვი მარდათ და მოდი ალლავერდი!..

—

სადღეგრძელოს სუყველასს ჩამო-
ვსთვლიდით;
მკვდარს და ცოცხალს ვიგონებდით,
მოვსთვლიდით!—

იქნება, მართლა, ის კომისიისაგან ამორჩეული არდგილი კარგი ადგილიც იყოს, იქნება შესამუშავებელი მიწები ბლომად იყოს, იქნება წყალიც საკმაოდ ჰქონდეს, ჯანმთელი ჰაერიც და სხვაც; მაგრამ სამეურნეო სკოლისათვის მარტო ეს არა კმარა:

აქაც სწორეთ ის ბედი ემართება ჩვენს ქვეყანას, რაც რკინის გზების გაყვანის დროს: საცა ქალაქები და საზოგადოთ დასახლებული, მცხოვრებლებიანი ადგილები იყო, თითქოს ჭირიანები იყვნენო, განზე აუარეს, შორს მიუხვ-მოუხვიეს და უდაბნო ადგილებზე გაიყვანეს და გაჰყავთ რკინის გზა, მოიგონეთ ქუთაისი, კახეთი და სხვ.

ამასვე სჩადიან ახლა სამეურნეო სკოლის შესახებაც,

ძველის-ძველადგანვე მეურნეობის მიმდევარ ჩვენს საბრალო ქვეყანას ჯერ-ჯერობით ეს ერთი სამეურნეო სკოლა უნდა ეღირსოს და ამასაც იმისთანა ადგილს მმართავენ, სადაც საქართველოს მომეტებულ ნაწილს ხელი არ მიუწვდება.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს პირველ დაწყებითი სამეურნეო სკოლა ერთ დროს უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლად გარდაიქცევა. ამიტომაც ისეთს ადგილას უნდა დაეარსებინათ, სადაც ყველა მაზრის ქართველებს ადვილად შესძლებოდათ როგორც სწავლის მიღება იმაში, აგრეთვე სამაგალითო მეურნეობისა, მაშინებისა, ვენახებისა, ხეხილებისა და სხვ. ნახვა და გაცნობა.

განა ცხინვალი ამისთანა ადგილს წარმოგვიდგენს? განა ცხინვალში გამართული სამეურნეო სკოლა ყველა ამ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს? ვერა; ვერა იმიტომ რომ, თუ არ ვსცდებით, ცხინვალი თითქმის ოთხმოცის ვერსით მოშორებულია გორიდამ, სადაც რკინის გზა გადის; ვერა იმიტომ, რომ ცხინვალს გარშემო მჭიდრო დასახლებული მცხოვრებლები არ არიან; ვერა იმიტომ, რომ ცნინვალი მაზრებზე, სადაც ქართველნი ცხოვრობენ ყველა მოშორებულია და იქ მისასვლელი გზა ძნელია.

ჩვენის აზრით, კეთილ-გონიერება და პირ-და-პირი სარგებლობა, ანგარიში მოითხოვდა, რომ ეს სკოლა ისეთს შუა ადგილს გაემართათ, სადაც ყველას ადვილად შესძლებოდა მისვლა-მოსვლა; ისეთს ადგილას, რომელიც მეურნეობის პირობების მხრით სამაგალითოდ ყოფილიყო მთელს საქართველოს მეურნეობისათვის და სხვ.

ყველას ის ემჯობინებოდა, რომ სადმე თფილისის ახლო-მახლო გაემართად სკოლა; მაგრამ, თუ აქ მოხერხებული ადგილი არ მოიპოვება, განა ფოთი-თფილისის რკინის გზის დაყოლება ცოტა მოიპოებოდა იმისთანა ადგილი, სადაც საკმაო მიწაც ჰყოფილიყო, წყალიც, კარგი ჰავაცა და სხვაც? ჩვენ გვგონია, რომ, თუ კარგათ მოსძებნიდნენ, ამისთანა ადგილს ადვილად მონახავდნენ. მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ამ გვარს შემთხვევაში ჩვენს კომმისიებს და საზოგადოთ მოთავე კაცებს ბევრი თავის მტვრევა არ უყვართ: ვინმე მიუთითებს და ისინიც ისე წაიყვანენ საქმეს; უფრო ხშირად კი რომლისამე კერძო პირის სიამოვნებისა და სარგებლობის გულისათვის მიიღებენ ხოლმე გარდაწყვეტილებას; საზოგადო სარგებლობა, უმეტესობის საჭიროება კი, საუბედუროთ, თითქმის ყოველთვის უკანასკნელს პლანზე რჩება, იჩაგრება, დავიწყებას ეძლევა.

ძალიან, ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ამ სამეურნეო სკოლის ადგილის ამორჩევამაც ამ ჭეშმარიტებაში დაგვარწმუნა...

## ახალი ამბები

—

ბელგიის თფილისელი საკონსულო საქმეების მმართველი ბ. ზარე გვთხოვს ჩვენ დავბეჭდოთ შემდეგი წერილი:

„მოწყალეო ხელმწიფევ! ბელგია დღესასწაულობს წელს თავის განთავისუფლების 50 წლის იუბილეის; ამ დღესასწაულის დროს, ბრიუსელის სინდიკალურ კავშირის თაოსნობითა და ბელგიის კოროლის მფარველობით, 6 ენკენისთვეს ბრიუსელში შეიკრიბება ხალხთა შორის კონგრესი ვაჭრობისა და წარმოებისა.

„გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფეო, თქვენის გაზეთის საშუალებით კავკასიის ვაჭრებსა და მწარმოებელთ გამოუცხადოთ, რომ ვისაც ამ საგნის დაწვრილებით შეტყობა ჰსურს, შეუძლიან მობძანდეს ბელგიის საკონსულო კანცელარიაში მუდამ დღე კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ 12 საათამდინ.“

ბელგიის საკონსულო საქმის გამგე ზარე.

* * *

„ივერიის“ მეორე წიგნი გამოვიდა ამ დღეებში და ურიგდება ხელის მომწერლებს. მ· გვყავს შინაარსი ამ წიგნისა:

„ასპინძის ომი“ პოემა რაფ. ერისთვისა.

„კუდურ-ხანუმ“ სამ მოქმედებიანი ისტორიული დრამა—აკაკი წერეთლისა.

„დავით გურამიშვილი“ [illegible] (ლექსი) *-სა.

„მაცდურს“ (ლექსი)—ვლ. მიქელაძისა.

(ლექსი)—ლევ. ცაველისა.

„სიმღერა“ (ლექსი) ლევ. ცაველისა.

დამატებაში:

„ცხოვრება მეფის გიორგი XIII-სა,“ (დასასრული). და

„იზა“—რომანი ბუვიესი—თარგმანი (გაგრძელება).

* * *

გაზ. „ობზორის“ №-ში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი:

შავი ზღვის ნაპირას, ნოვოროსიისკის მახლობლად, მიადგნენ ნავით რამდენიმე სომეხი და ბერძენი, რომელნიც მცირე აზიიდამ წამოსულიყვნენ და ამ ზღვის ნაპირა თავისუფალ ადგილებზე დასახლებას აპირებდნენ. მაგრამ ადგილობრივ მთავრობის განკარგულებით, ამ ნავს დაუშინეს ზარბაზანი, მერე პატარა ხომალდი გამოუყენეს, დაიჭირეს და შიგ მცხოვრებლები ციხეში ჩაჰყარეს, სადაც დღემდინ სხედან.

ეს ამ გვარი დახვედრა და მოპყრობა ნოვოროსიის მთავრობისა საბრალო გადმოსახლების შესახებ, რასაკვირველია, მოსაწონი და საქები არ არის. მაგრამ წაიკითხეთ ახლა თვითონ „ობზორის“ რედაქციის შენიშნვა ამ გადმოსახლებულების შესახებ და მითხარით—რამდენად მოსაწონია ის:

„ანატოლიიდამ ჩამოსულები ამბობენ, რომ ნახევარი მილიონი ბერძენი და სომეხი აპირებენ იქიდამ ჩვენს ნაპირებზე გადმოსახლებასაო... ჩვენ გვგონია, რომ რადგან ამისთანა სურვილი აქვთ ჩვენს მხარეებში გადმოსახლებისა, აუცილებლად საჭიროა

---

და ამ გვარად დღე-ღამეს ვატარებდით,
მტერსაც ვსძლევდით, ჩვენზედ არ ვახარებდით!

—

ყოველთვის გვყვანდა სტუმარი მიღებული,
მაგრამ მტერზედ ვიყავით განრისხებული:
რა ბრძოლისა, ომის ხმა ასტყდებოდა,
მაშინ ყველა ცეცხლათ აენთებოდა!

—

შევისხამდით რა ფარ-ხმალს ვაჟკაცურსა,
მტერსა ვსრესდით, როგორც დიაცსა-ფურსა!..
ხელ გაშლილი—არც პირს მოვიმურავდით
და ჩვენგანი ყველა სისხლში ვსცურავდით!

—

უცბათ ისმის მეომართა კიჟინი,
სჩანს ჩვენებმა კვალად მოიგლეს ქინი!—
ხედავ, მოჰყავთ მათ დიდი საბრძვარი:
ტყვეთა გუნდნი, ხარი, კამბეჩი, ცხვარი!

—

შორს გაისმის ზურნა, დაფი, ნაღარა,
მოვისვენოთ, უკვე ვომობთ ალარა;
ეს სისხლის ღვრა არს ჩვენთვის საგრძნობარი,
და ვინც მოკვდა, ვსვათ მათ შესანდობარი!..

—

ქვალად ლხინი და ყიჟინი ისმოდა,
ქულა-ყანწით ძმურად ღვინო ისმოდა,
და ამ გვარად ჩვენ ყოველთვის ვილხენდით;
მტერს ვებრძოდით, მისგან არრას ვითმენდით!..

—

ვის არ აღძრავს, ძმანო, ეს მოგონება!
რათღა შემრჩეს საწყალს თავში გონება?
ცხადათ მხედავთ დაუძლურებულ სულსა
და ჩემს ადგილს სრულიად გატუსულსა!!.

—

უცბათ განქრა—ყველა ესე სიზმარი—
რომ მოუთხრა, ერთი მომწეც არ არი;
სადაც ველებს მწვანით მოსილს ნახავდი,
ტურფა მხარის სამოთხეთ დასახავდი,

—

იქ ამ დროში ჰინჭარი ამოსულა,
მის მფლობელათ შორით ყვავ იმოსულა...

. . . . . . . . . .
. . . . . . . . . .

—

მხოლოდ ერთი იმედი დამშთენია,
რომ ის მხარე ისევ ისე ჩემია!..
და თუმც მტანჯავს სიბერე ხორცთ გამგმირი,
მაგრამ სულით... მე ჯერ კიდევ ვარ გმირი!..

* * *

მაგრამ სიმღერა ცოტას ხანს უნდა შევაჩეროთ: რაღაც უცნაური ხმა მოისმის, ხმა მჭევრ-მეტყველისა, ხმა შეუპოვარი და ხმა წინაამდეგთ მძლეველი! რა ხმა არის ეს?! ეს არის ხმა მღაღადებელისა (უდაბნოსა კი არა) სემინარიასა შინა...

აგერ მთლათ მოჩანს მომქმედი პირი! ეს არის ძველთაგან ნაქები ისტორიკოსი ბ. ბოლოიავლენკი, რომელიც აბობღილა კათედრაზედ და ახალს რაღასაც მოუწყებს!... უთუოდ ახალი რამ ზედ-წარწერანი აღმოუჩენია ნანგრევებთა შორის ნინევიისათა და ამაზედ ჰქადაგებს!... არა, იმის მრისხანე სახის მეტყველება სულ სხვას ამტკიცებს: ის ღაღადებს იმ უსამართლობაზედ, რამეთუ შერყეულ იქმნა ბ. ნიკოლაძისაგან ესე ვითარი ძლიერი ლოლიკა ქველ-მოქმედთა მამათა სემინარიისათა!! აი უმეცრებაა და თავის დავიწყება!... მხოლოდ ამისთვის ამ გამოჩენილს დემისთენს (აშპაშხანისას) გულ აღძვრითა და ფილიპიკებით უბრახუნებს ბ. ნიკოლაძეს რედაქციითურთ თავში!!...

ერი ჰააა! ეს კარგი ამბავია! განზე, სემინარიის კედლებო, და თქვენც გიხაროდეთ, ასულნო ნაქულბაქევისანო, რამეთუ ესე ძლიერი კაცი აღმოჩენილა ჩვენ შორის!... ჰაიდა-ჰა ოჩონ პეტრე!... ის კი არ იცის ბ. ბოლოიავლენსკიმ, რომ ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო! მბაასოს ნიკოლაძეს, რომელსაც, როცა, მტყუანია ეშმაკიც ვერ გასტეხავს—და მერე მართალს!... წარმოიდგინეთ ბ. ნიკოლაძე მართალი!... ჰაიდაჰა, სწორეთ ნიშადურს იხმარებს!... მით უმეტეს ვურჩევთ ბ. ბოლოიავლენსკის, რომ თავისი ფილიპიკები (ე. ი. უფრო სწორედ ვთქვათ „ნიკოლოზიკები“) ცოტა მაინც არის ჩააჩუმოს, თორემ სემინარიი

მავიდოთ დონის-მიება, რომ გადმოსახლებულებს კარგათ დაუხვდეთ, რომ ამ თავითვე არ შევაშინოთ ისინი.“

ამას ამბობს „ობზორი“, და ჩვენ გვგონია, მალე იმასაც იტყვის, ურიგო არ იქნებაო, რომ საქართველოდამ ქართველები გადავასახლოთ და ამათ მაგიერად ანატოლიიდამ სომხები და ბერძნები და კამჩატკის ხალხი დავასახლოთ აქაო...

* * *

იქნება ახსოვდეს მკითხველს, რომ სომხურ გაზეთის „მშაკიდამ“ თითქმის ყველა აქაურ და რუსეთის გაზეთებში იყო გადაბეჭდილი შესაძრწუნებელი ამბავი, ვითომც მცირე აზიაში ისეთი შიმშილი არისო, რომ სოფ. მუდირგეში ერთმა დამშეულმა სომეხმა თავის შვილი შესწვა და შესჭამაო.

ამ საგნის შესახებ გაზ. „ბერეგის“ არზრუმელი კორრესპონდენტი იწერება ახლა, რომ მე ვიყავი ამ სოფელში, ადგილობრივ გამოვიკითხე ყველაფერი — თუ მართლა მოხდა თქვენში ეს ამბავიო, და დამარწმუნესო, რომ სრულებით ტყუილი არისო; ჩვენ ისე არ გაგვჭირებია საქმე, რომ მაგისთანა მხეცობა ჩაგვედინაო.

* * *

გაზ. „კავკაზი“ გვაცნობებს, რომ დილიჟანიდამ თფილისში მომავალს ფოჩტის პოვოზკაზე დაკარგულა ყუთი, რომელშიაც 22,542 მანეთი ყოფილა სხვა-და-სხვა პირებისა და უწყების სახელობაზე. აქსტაფის მაზრის უფროსს ბ. ფურცელაძეს და გამომძიებელს ხიმშიევს მიუღიათ ჯეროვანი საშუალება ამ დაკარგულ ფულების მოსაძებნად, მაგრამ ჯერ-ჯერობით არაფერი არ აღმოჩენილა.

—

შენიშვნა. საჭიროდ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ „დროების“ მე-143 ნომერში დაბეჭდილი ბ. მოჩხუბარიძის წერილი რედაქტორთან შავად ყოფილა დაწერილი და როგორც გამოაშკარავდა, ავტორს სრულებით განზრახვა არა ჰქონია, რომ ეს წერილი ასე გაუსწორებელად დაებეჭდა გაზეთში. ამის გამო, ჩვენს მოვალეობათა ვხედავთ გამოვაცხადოთ, რომ უადგილოთა მიგვაჩნია ამ წერილის დაბეჭვდა იმ შენიშვნაებით და შესწორებით, რომელიც რედაქციისაგან იყო მოყვანილი იმ წერილში.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

სოფ. მელაანი (სიღნაღის მაზრაში), 5 ივნისს. 1 ამ თვისას კნიაჟნა ნინო ზაქარიას ასულს ანდრონიკოვისას ჰქონდა თავისი შეგირდების ეგზამენია. ეგზამენიაზედ დაესწრნენ მრავალნი მაყურებელნი თავადები თუ გლეხები, სიღნაღის მაზრის უფროსის თანაშემწე თ. ლევან ჯანდიერი, სკოლის მზრუნველი თ. მ. მ. ანდრონიკოვი, ადგილობრივი მღვდელი, მამასახლისი რამდენიმე პატივცემული კაცით და ყმაწვილების მშობლები.

ყველა დამწრეთ მშვენიერი შთაბეჭდილება გამოიტანეს ყმაწვილების ეგზამენიიდამ.

ყველამ დავინახეთ, რომ ანდრონიკოვის ქალის ცოტა ხნიერი შრომა (გამოანგარიშებით აღმოჩნდა, რომ სულ 70 დღესა ჰქონიათ სწავლა) დაგვირგვინდა კეთილის ნაყოფით. უსწავლიათ საღმრთო წერილიდამ ის, რაც სასოფლო შკოლებში უნდა ისწავლონ პირველ წელიწადს, არითმეტიკაც იმდენივე ოთხივე მოქმედებებით ზეპირათ გამოცანები და დაწერითაც არითმეტიკული ნიშნებით, კითხვა და წერა. ყოველი ესენი მასწავლებელს უსწავლებაა შეგირდებისათვის ისე საფუძვლიანათ, რომ მეტი აღარ შეიძლება. ყოველიფერში ეტყობოდათ შეგირდებს, რომ ძალიან თავ-განწირვით უსწავლებია იმათთვის მასწავლებელს. საცა ქალი უფასპატიოთ ამასა შვრება, ჩვენ სოფლის მასწავლებლებისათვის, რომლებიც გლეხების ოფლსა ვსჭამთ, სირცხვილი არის რომ ჩვენ თანამდებობას არ მოვკიდოთ თავ-გაწირვით ხელი და საქმე კეთილ სინიდისიანათ არ წავიყვანოთ.

ეგზამენის გათავების შემდეგ კნიაჟნამ დაითხოვა შეგირდები ორ თვეს; მაგრამ შეგირდებმა ტირილითა სთხოვეს, რომ ისევ გაეგრძელებინა სწავლა და მასწავლებელი დაჰპირდათ სწავლებას ყოველ ხუთშაბათობით. მშობლებმა, რომელნიც წინათ არ აძლევდნენ შვილებს სასწავლებლათ და გაიძახოდნენ: „ჩვენ შვილებს სწავლა რათ უნდათო“, დიდი მადლობა უთხრეს. ახლა ყველასა ჰსურს მიიყვანოს ამ შკოლაში თავიანთი შვილები.

საუბედუროთ, ამბობენ, რომ, მომავალ ზამთრისთვის სკოლა უნდა დაიკეტოსო, რადგან კნიაჟნა ნინო თავის დედ-მამით თფილისში მიდისო. ეს ამბავი, რასაკვირველია, ყველასთვის ძალიან სამწუხაროდ დარჩა. ჯერ ერთი ესა შეგირდებმა ისწავლეს და ეხლავე დაწინაურდნენ მშობლებზედ; როგორც ისინი საგანზედ სჯიან, იმათი დედ-მამა სიზმარშიაც ვერა ჰნახვენ. საკვირველ თავიანთ (მოგონილ) შედგენილ წინადადებებსა სწერდნენ ეგზემენის დროს კლასსის დოსკაზედ. ერთმა დასწერა მაყურებლებზედ შემდეგი: „რა გამოიტანეთ, რომ ყურს გვუგდებთ“. მეორეც ესა რომ ხალხმა გაიგო სწავლის სარგებლობა და სულითა და გულით მდომობენ სკოლის გახსნას, მაგრამ რასაკვირველია თითონ ვერაფერს გააწყობენ, თუ წინამძღოლიც არა ჰყავთ. წინამძღოლობა მელაანელებისათვის ძნელია უფრო იმისთვის, რომ მელაანში ცოტა მცხოვრებლები არიან და მარტო თავიანთი ხარჯით ვერ გახსნიან სკოლას.

ამ შემთხვევაში მელაანელები ძალიან გაახარა მაზრის უფროსის თანაშემწემ თ. ლ. გ. ჯანდიერმა; რომელმანც გამოაცხადა, რომ ის შეაერთებს მელაანთან ახლო-მახლო სოფლებს და იმათთვის გახსნის ერთ სკოლას, როგორც არის სოფელ კაკაბეთში. რასაკვირველია, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც“ გადმოიხედავს ჩვენსკენ მოწყალეების თვალით.

რაც შეეხება თ. ლ. გ. ჯანდიერს, ჩვენ იმისი სრული იმედი გვაქვს, რომ თავისი ხელმძღვანელობით უეჭველად დაარსებინებს მელაანელებს სკოლას, რადგანაც ძალიან თანაუგრძნობს ყოველ ამ გვარ საქმეს.

დიდი ხანი არ არის, რაც თ. ჯანდიერი დაინიშნა სიღნაღის მაზრის უფროსის თანაშემწეთ. ვინც კი გაიგო იმისაგან ამ თანამდებობის მიღება, ყველას გაუხარდა. ყველანი აქებდნენ იმას, როგორც ამ მხრისათვის სასარგებლო კაცს. ქება ტყუილი არ გამოდგა, სიღნაღში მოსვლის უმალვე კალიაზედ გავიდა და იქ კარგათ წაიყვანა საქმე. იქიდამ დაბრუნდა და სოფლები დაიარა, რომ გაეგო რას საჭიროებდნენ; მაგრამ რადგანაც

---

ლოღიკას ლიტერატურა და სლოვესნოტიც მოჰყვება, და მაშინ ჩემი აღარა ბრალია! წავიდეს ბ. ბოლოიავლენსკი და პასუხი ეძებოს კართაგოს ნანგრევებზედ!... ჯერ ის მოინელოს; რაც მიირთვა!...

* * *

სხვათა სიცრუეთა შორის ბ. ბოლოიავლენსკი ამბობს, რომ წლევანდელს სემინარიის კურსოვსიკებში ერთიც არ იყო სასულიერო აკადემიაში გაგზავნის ღირსიო!... დარწმუნებული ვარ, რომ ღირსებაზედ ეფიქრათ, წელს ბარე ხუთი კაცი იყო აკადემიაში წასვლის ღირსი; მაგრამ აქ ღირსება კი არა ჰქონიათ სახეში, სხვა რაღაცა... ის, ჩვენ რომ ვიცით!... თავიანთ ნება არ არის, თუ უნდათ თავის დღეშიაც არავის გაგზავნიან! მეტადრე ამაზედ ჰაზრიც თუ ჰკითხეს ჩვენი სობოროს პირველ დეკანოზს მამა გრიგოლ პავლიაშვილს, რომელმაც სიღრმიდგან სიბრძნისა თვისისა ამოიძახა, სემინარიაში ქართული ენა რომ მოვსპოთ, კარგი იქნებაო!!

ეჰ, დავანებოთ ამ ხალხს თავი: ამათ ხომ მარტო პირის გზა იციან, სხვა არაფერი! ბ. ბოლოიავლენსკი ბძანებს, რომ მახვილაძეს (კურსოვნიკია) ვეუბნებით და არ მიდის აკადემიაშიო. მახვილაძეს მთლათაც რომ აჩუქონ აკადემია, დარწმუნებული ვარ, რომ არ წავა: მეორე კლასიდგან დაწყებული ამ ყმაწვილს საშინელი გულის ტკივილი თურმე აქვს და რის ვაივაგლახით გააჩანჩალა სემინარიის კურსი. ამ უკანასკნელ წელს თურმე ისე იტანჯებოდა გულის ტკივილით, რომ მთელ წელიწადს სამჯერ რიგიანათ ვერა მჯდარა, კლასში. სად უნდა წავიდეს, კაცი ძლივს სუნთქავს, თავი მოსაკვლელი ხომ არა აქვს!... დამერწმუნეთ, რომ კარგათ რომ იყოს, არც იმას მისცემდენ ვაგზანის წინადადებას!...

ეს სულ იქით იყოს. წლევანდელ კურსოვნიკებში მოიპოვება რამდენიმე ყმაწვილი, რომელნიც არც მახვილაძეს ჩამოურჩებიან, არც წარსულ წელს აკადემიაში გაგზავნილებს. მაგრამ იქნება იმაში არ ჩამორჩებიან, რომ მაჰმადის ყვავებივით ყურში არ უჩურჩულებდნენ ხოლმე ღირსთა მამათა ჩვენთა, მწყემსთა სემინარიისათა!... კარგი! კმარა, თორემ... ციხე შიგნიდან გატყდება!...

* * *

თავის დღეში არ მომხდარა, რომ სემინარიაში 40 შეგირდზედ ნაკლები მიეღოთ! წელს? სამოცი კაციდგან, რომელნიც ეგზამენიის დასაჭერად მოვიდნენ, მიიღეს მხოლოდ თერთმეტი (11) დანარჩენი? დანარჩენი არ გახდნენ სემინაში მიიღების ღირსნი! ჰა? ესე რაღა?

ეს გახლავთ ახალი უსტავი შედგენილი და გამოცემული ღირსი მამა მისაილისაგან და დამტკიცებული ბ. ბოლოიავლენსკისაგან! რა არის მიზეზი ასე შეგირდების დაცემისა და წარმატების მოკლებისა? მე მგონია, მიზეზი წრევანდელი კალია უნდა იყოს, რომელმაც კიუნერის ბერძნულ გრამმატიკას თავი და ბოლო მოაქამა და შეგირდები ცარიელი დასტოვა!! (კი არ გაიცინოთ, სემინარიის მასწავლებლების ლოღიკაც ესეთია!..)

მაგრამ ვაი თუ ის იყოს, რასაც ბ. სინაისკი . . . . . . . . . . . . . . . . ჩვენ, ქართველებს, გვწამებდა!..

კითხეთ თვითეულად ყველა შაგირდს, რამდენჯერ გაუგონიათ ნერონის ველური ჰაზრი ღირსი მამა მისაილისგან: „თქვენ მხეცებო, ველურო ჰკუეით და გონებით დაცემულო ხალხო, დაწყევლილო აზიელებო, ნეტავი სულ ერთ დღეს გაწყდეთო და სხვ.“!..

ეჰ, რაღა ვსთქვა... ეს ის მამა მისაილი ბძანდება, რომელიც ქელეხებში ერთგულად დაიარება ხოლმე, ყაყაჩოსავით აწითლდება, მელურის ქცევით ყველას თავს აწონებს, შეგირდებისთვის მითომ გული სტკივა და ნაღვლობს. ახლა თქვენ ნახეთ, როდესაც დაბრუნდება სემინარიაში, დაერევა შაგირდებს მუშტი-კრივით, როგორც ავლამრელი კომშუა...

* * *

ჯერ ეს კმარა; მერეც დაგვჭირდება, მაგათი ქველ-მოქმედება ვაცნობოთ ხალხს! „ვაი თქვენდა, მწიგნობარნო, ფარისეველნო, ორგულნო? აი ვის მაგივრათ ბაასობს ბ. ბოლოიავლენსკი!.. მე კი ცოტა ვშიშობ, რომ ვექილი თავის კლიენტმა არ ჩაითრიოს!..

მაგრამ მოეშოდეთ, ჩემო დუდუკო, ამ ადგილს! წავიდეთ შორს, შორს! წავიდეთ იქ, სადაც შეგვეძლება ამ სიცხეში მოსვენება!..

11 მკათათვე.

ეროვნული

ხალხი სამუშაოზედ იყო გასული, მგონია კიდევ აპირობს დაულას სოფლებისას. ქონოდა განზრახვა მოეწვია თავისთან სოფლის მასწავლებლები და გაეგო მათგან, რას საჭიროებენ; მაგრამ ვერ აასრულა თავისი განზრახვა, რადგანაც მომეტებული ნაწილი სოფლის მასწავლებლებისა სიღნაღის მაზრაში ქართლიდამ არიან და წავიდნენ შინ. ძალიან კარგს იზამს, რომ მოიწვიოს, როცა იქნება სოფლის მასწავლებლები, გაიგოს, რა ტანჯვაში არიან ისინი მამასახლისების ხელში და შეუმსუბუქოს მათ ის ტანჯვა.

სასოფლო შკოლის მასწავლებელი.

## ნარკვევი

—

*** ექვსს ივლისს ბელგიელთ გაუმართავთ თავიანთ 50 წლის თავისუფლების სახსოვრად დღესასწაულობა— მთელი განათლებული ქვეყნის ყურადღება და მოწინავე კაცთა უგულითადესი თანაგრძნობა ეხლა ბელგიელთა და მისგან გამართულს დღესასწაულს ეკუთვნის.

მართლაც რომ თანაგრძნობის ღირსია ამ პატარა სახელმწიფოს ისტორიული ცხოვრება. 50 წელიწადია, რაც ამ პაწაწა ხალხმა ხელთ-იგდო საბელი თავის ყელისა, და მას აქეთია „ქარამანიანში“ გამოყვანილთ აიარების ბიჯით ვიდოდა ყოველსმხრივ წარმატების გზაზედ, რომლის წყალობით იგი დღეს ჭეშმარიტებად აღიარებულია ერთ უგანათლებულესთაგან სახელმწიფოთ. ამის გამო „ბოლოსი“ იკითხავს:

რაი არის ამის მიზეზი? რას უნდა მივაწეროთ, რომ ვერც ერთს მძლავრს მეზობელს ბელგიისას ვერ გაუბედავს იმის თავისუფლების მიხდა?

გაზეთის აზრით ამის მიზეზია ამ გვარ-ტომობის ვონებითი განვითარება და ამ განვითარებისაგან გამოწვეული კანონიერი განწყობილება ხალხისა სახელმწიფო ცხოვრებისადმი.

*** რამდენიც დღე გადის იმდენათ უფრო რწმუნდება ქვეყანა, რომ საფრანგეთის ძლიერება ცარიელი სიტყვა კი არა, თვალთ საჩინი ფაქტია. ათი წლის წინეთ საფრანგეთს, მოგეხსენებათ, იმისთანა უბედურება გადახდა, რომელსაც მურვან-ყრუს და ალა-მაჰმადის შემოსევა საქართველოში თუ შეედრება, და დღეს კი უფრო მდიდარს, ძლიერს და განვითარებულს ვჰხედავთ საფრანგეთს, ვიდრე ამ თუთხმეტი წლის წინედ. ბასაოცარი მსოფლიო გამოფენის შემდეგ სამი წელი ძლივს გასულა და იგი იმისთანა ძლიერს თავ-განწირულ საშუალებას ხმარობენ სახელმწიფოს აწმყო წყობილების გასაუმჯობესობლად, როგორიც არის კომუნარების სრული პატიება და ალკრძალულ საზოგადოებათა საფრანგეთიდამ განძევება.

ჯერ ფეხი არ შემოუდგამთ ამ კომუნარებს პარიჟში და ახლავე კი იძახიან, ჩვენ არ გვრცხვენიან არც ერთი ჩვენგან უწინ მოხდენილ საქმისო. მაგ. უმკაცრესი კომუნარი ფელიქს პია გაზეთს „*Mot d'Ordre*“-ში სწერს:

„ტყუილად გვარწმუნებენ „სათანამედროვე პოლიტიკის“ მომხრენი, რომ ამნისტია კომუნის და მისი მოღვაწეობა არისო. არა, ბატონებო, ამნისტია მეტი რამ გახლავთ. იგია კომუნის გამარჯვება, რომლის განძლიერების შემდეგ ჟულ სიმონი, დუფორი, მარტელი და სხვ. დარწმუნდებიან, რომ ჩვენ არ გვრცხვენიან არც ერთის ჩვენი ნამოქმედარისა, წარმოიდგინეთ, არც ამანათების დახვრეტისა.“

სწორედ საფრანგეთისთანა ყოველმხრივ ძლიერი უნდა იყოს ის სახელმწიფო, რომელიც ასე აშკარად, წერა-ბეჭდვით, სრულ ნებას აძლევს ჭეშმარიტ თავისუფლების მტერთ კომუნარებს თავიანთ გზა დაბნეულ რწმენის გამოთქმისათვის!

---



## განცხადებანი

—

თავი შაქარი ბროდსკისა 6 მან. 80 კაპ. ფუთი.

### თ. პეპინოვის სკლადში

არწრუნის თეატრის ქვეშ ეზოში.

იქვე ისყიდება ახლად მიღებული და ყველა უცხო ქვეყნებში ნაქები **ლიმონის ესსენცია**; ერთი ფლაკონისაგან შეიძლება 75 სტაქანი ლიმონადი გაკეთდეს, ერთი სტაქანი ჩაისთვის ერთი მერვედი ჩაის კოვზი ესსენცია საკმაოა და აგრეთვე იხმარება საჭმელში სიმჟავისათვის. ყოველგვარი სამზღვარ-გარეთის **სასმელი**, საუკეთესო იტალიანური **სპიჩკა**, დიდრონი კარობკებით დუჟინი 20 კ. ნუშის ხელის **საპონი**, რომელიც არბილებს კანს, პაპოვის ბანდეროლით **ჩაი** და ჩვენი ფირმისა. ყოველ გვარი **კონსერვი** და **კოლონიალნი საქონელი**. პარტიით ისყიდება ფრანცუზული **ვაქსი**.

(2—1)

---

სავაჭრო სახლი

### იაგ. კასუმოვი და ამხ.

თავის პაიშჩიკებს, შემომტანლებს (ვკლადჩიკებს) და საზოგადოთ ყველა ინტერესის მქონე პირთა, რომ რადგანაც საქმე მატულობს ამ სახლის მთავარი კანტორა ამ წლის 1 აგვისტოდამ გადიტანება ბ. ჯაყელის სახლის ზემო სართულში ბანკის ქუჩის და ერევნის მოედნის კუთხეში.

ფულის გასასესხებლად, გადასახადის და შემოსატანის მისაღებად კანტორა გაღებულია საქმის დღეებში დილის 9 საათიდამ შუადღის 2-მდე, კვირაობით 8-დამ დილის 10 საათამდი.

იყიდის 1 და 2 შინაგან მოგებიანს სესხის ბილეთებს და თვითონვე ჰყიდის ამ გვარებს და ფასის გადახდას 12 თვით აძლევს წვრილ-წვრილად შემოტანით. ბილეთის ამ ნაირად მყიდველს მონაწილეობა ექნება მოგებაში, რომელიც მოსალოდნელია წლის განმავლობაში ერგოს 20 ბილეთებს, რომელიც მოხსენებულია ოთხის ტირაჟის მოწმებაებში. იყიდის და გაჰყიდის კერძო პირთა მონდობილობით ყოველგვარ უძრავ ქონებას. მიიღებს საკომმისიო და გასაყიდად: საქონელს და მასალას. ჰყიდის დაბეჭდილ პირობებს სახლის დათმობისაზე, დუქნების და ცარიელ ადგილების გაქირავებაზე.

შესანახავად შეტანილს ფულზე აძლევს პირობის გამოცვლამდის:

1) შენახვის ანგარიშით და მოთხოვნამდის — — — — — $4\frac{1}{2}\%$
პირობით $4\frac{1}{2}\%$

2) ვადით შენახვაზედ. 6 თვით $5\frac{1}{2}\%$
9 თვით $6\frac{1}{2}\%$
1 წლით $7\frac{1}{2}\%$
$1\frac{1}{2}$ წ. $8\frac{1}{2}\%$
2 მეტ. წ. 9%

3) საგანგებო პირობით შესანახავად შემოტანილს ფულზე 1 ხარისხის პაიშჩიკებს ამხანაგობისას — — 9%

ვექსილით ფულის გასესხების დროს უწყებულ პირთა თავდებით აძლევინებს თვე-და-თვე გადასახ. სესხზე — 10%
კვირ-კვირაობით — — — 9%

დაწვრილებითი ცნობა და ახსნა მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ყოველ დღე კანტორის გამგესთან.

(5—2)

---

ჩაი! ჩაი! ჩაი!

როგორც იქნა ბოლოს მოვიდა ინგლისის მაღაზიაში დიდ-ძალი ჩაი პირდაპირ პლანტატორებისაგან და ისყიდება: 1 მან. 10 კაპ., 1 მან. 20 კაპ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80 კ. და საუკეთესო ჩაი 2 მან. გირვანქა უქაღალდოთ, ე. ი. 25% უფრო იაფი და უკეთესი, ვიდრე სხვაგან სადმე.

სად არის ინგლისის მაღაზია?— არწრუნის ქარვასლაში.

(20—18)

---

ი ს ყ ი დ ე ბ ა

ახალი წიგნი

სამწერლო

### თაიგული

გამოცემული ილია ჭყონიასაგან.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

**1.** ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა **II** უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა. **III** ჩემს სურ[illegible] (ლექსი) მ. ფაზელისა. **IV** მ... სადმი (ლექსი) ბ—სა. **V**. ფერი ფერს— მადლი ღმერთს სამ მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან. **VI** ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფ. ერისთვისა. **VII** ხასიათის გაკვლევა, სამუელ სმაილსისა **VIII** უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა. **IX** ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში. **X** მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის და აზნაურობის მაღაზიაში გოლოვინის პროსპექტზე.

ქუთაისში პ. ფ. გერარდის წიგნის მაღაზიაში (თექვსმეტ ივლისიდამ).

ფასი თითო წიგნისა ათი შაური, გაგზავნით სხვა ქალაქებში სამი აბაზი.

---

ქნეინა **სალომე ალექსანდრეს** ასული და თავადი **პროკოფი ლევანის-ძე შარვაშიძე** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებსა და მცნობებს გარდაცვალებას პირველი თვისის მეუღლისას და მეორე თვისის ძმისას პოლკოვნიკის თავადის **სამსონ ლევანისძის შარვაშიძისას**, რომელიც აღსრულდა 10 ივლისს დილის $9\frac{1}{4}$ საათზე ქალაქ გორში. გვამის გამოტანა თავადის მაჩაბლის სახლითგან გორის სტანციაში ხონის მონასტერში მისასვენებლად იქნება კვირას 13 ივლისს.

(3—3)

---

**დაიბეჭდა და ისყიდება** ვართანოვის წიგნის **მაღაზიაში**

### ა ლ ე ქ ს ი

ზღაპარი აკაკისა

ფასი თითო წიგნისა 20 კ.



---

„დროების“ ფოჩტა

— ა.—ს-ში, პ. ლ—ას. ლექსთთხზულება ურიგო არ არის, მაგრამ თვითონ ლექსის შინაარსი არ ვარგა; ამიტომ ვერ დაიბეჭდება.

— სოფ. მ—ში, კ-ნა ნ. ს. ა—სას. თქვენს კორრესპონდენციაზე ადრე, ამავე საგანზე სხვისაგან მივიღეთ კორრესპონდენცია და ის დაიბეჭდა.

— ქ—სს, ბ. მ—ძეს. თქვენი შენიშვნა ვერ დაიბეჭდება რედაქტორების მოკითხვისათვის გმადლობთ, მშვიდობით გახლავართ, ღვთისა და თქვენი წყალობით...

— გ—ს, ი. ბ—ს. გაზეთი იმიტომ არ მოგდით, რომ მეორე ნახევარ წლის ფული არ შემოგიტანიათ.

— ს-ში, ტ.—მ—ს. თფილისიდამ სიღნაღამდინ სტანციებზე და იმის მოიჯარადრეზე მირზოევზე სხვებიც ბევრი სჩივიან; მაგრამ, მასხლას, არა გამოდის-რა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 12 Іюля 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი